წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 3 მაისი 1916 წ. № 98

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., **კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.

დამატებანი № ღირს უველგან 7 კაპ

გუშინ, დილის 4 საათზე, მგოსანმა ევდოშვილმა სული განუტევა

ეროვნო!

ჩვენს სამშობლოს ხან თუ სიხარული აღიტაცებდა და მისი მხიარული ხმა ზეცას სწვდებოდა, ხანაც მუხთალი ბედი გლოვის ზეწარს აფარებდა. ასე იყო დასაბამიდან, მაგრამ ჩვენს მამა-პაპებს არც მწუხარების და არც აუტანელ ტანჯვა-გლოვის წინაშე ამაყი ქედი არ მოუხრიათ. ძლიერი იყო საქართველოს ბუმბერაზი და სალკლდოვანი ბუნება, ძლიერი იყო წინაპრების გული!

განა თუ ერთხელ გადაუვლია სამშინელს გრიგალს ჩვენს თავზე? განა თუ ერთხელ უგრძვნია ჩვენს სულს მწარე ნაღველი და გულმოსაკლავი სევდა, მაგრამ როდის დაგვიკნესია? ვის გაუგია ჩვენი ძახილი უიმედობისა და სასოწარკვეთის?

გულში ვმარხავდით სევდას, ვიტანჯებოდით და ტანჯულ სულს მხოლოდ ჩვენსავ სულს გავანდობდით.

ვინც იყო უცხო, ჩვენ მისი ნუგეში არ გვწამდა. ჩვენ მხოლოდ ჩვენი მოზარე დავეტიროდა და იგივე მოზარე თავის სამგლოვიარო ხმებს საზეიმო ხმებად შესცვლიდა! სევდას მოსდევდა სიხარული ჩვენის გულიდან აღმოხრდილი და ჩვენგანვე შექმნილი!

—

ჯერ კიდევ გუშინ ვმხიარულობდი და ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა.

მეგობართ შორის გატაცებული ვიყავ. დიდებულ ზეიმს ჩემს გულში ვდღესასწაულობდი.

მეორე დღეს, განთიადისას, რა მოველოდა?

რა ვიცოდი რომ შავი ბედი, ბედი პირმოქუშული და სასტიკი მომეპარებოდა და ხარხარით მეტყოდა:

— აჰა, იროდიონი მოგიკალიო!

ჩემს მეგობარს და ჩემს ტკბილს მგოსანს ჩანგის სიმები დაუწყდა.

ვეღარ დასძახებს: „კვლავ ბულბულთ სტვენა დამიტკბობს სმენას.“

ვეღარ შემოევლება თავის სატრფო სამშობლოს:—მის სევდას და მის სიხარულს. ვეღარ უგალობს ტანჯვის უღელში ჩაბმულს, ჩვენს იმედს—მიწის მუშა—გლეხს და ვეღარც მოუწოდებს ქარხანაში ცეცხლში ნაწრთობს მშრომელთ:

„მეგობრებო წინ, წინ გასწით,

„ნუ შედრკება თქვენი გული!“

—

ახალგაზრდა მგოსანი სიკვდილმა მოსწყვიტა ჩვენს გულს, მაგრამ... ბედო მუხთალო, განა თუ ისეთს რა ტანჯვას მოგვაყენებ, რომ ჩვენს გულს არ განეცადოს?

განა რა ისეთი მწუხარება უნდა გამოსძებნო, რომ მის წინაშე შევძრწუნდეთ?

განა რა ისეთი სამგლოვიარო ზარი უნდა ჩამოჰკრეკო, რომ ჩვენს ყურს არ სმენოდეს?

„შეეჩვია ტანჯვა-ვაებას გული!“

და რაოდენად შენი განჩინება მკაცრი და სასტიკი იქნება, იმდენად ახალგაზრდა საქართველო ძლიერებით შეიმოსება, რადგან განვჭრიტეთ: ტანჯვაში უნდა იშვას ხორცსხმული და ცხოვრებითი მშვენიერება, ტანჯვამ უნდა აღადგინოს უძლეველი ნების ყოფა, ტანჯვამ უნდა გაგვიკვლიოს გზა უკვდავებისკენ.

—

მე ვერ ვიტირებ იროდიონს. ჩემს ცრემლს მისი ჩანგი ვერ მიიკარებს. ჩვენ აღთქმა გვქონდა: თვით უდიდეს მწუხარებას წარბშეუხრელად შევხვედროდით. აღთქმა ჩვენი და ჩვენიანებისა მტკიცეა უფროს სიკვდილისა!

სანდრო შანშიაშვილი.

შავი ფურცელი

ჩვენი მწერლობის ახალი შავი ფურცელი გარდაიშალა:

იროდიონი აღარა გვყავს!

ბევრს და მრავალ რამეს ამბობს ეს სამგლოვიარო განცხადება: ჩვენი მწერლობის უკანასკნელი ბაირახტარი, რომელიც ნორჩ თაობის ნორჩისავე მწერლობას ბერ მინდიასავით მიუძღვოდა და ძველსა და ახალს ფოლადის რგოლით აერთებდა, დღეს აღარ არას.

იროდიონ ევდოშვილი ჩვენი შავბნელი ხანისათვის ნამდვილი მებუკე იყო, რომელმაც არ უწყოდა დაღალვა. მისივე სიტყვები რომ შევატრიალოთ, რაიც აცრემლებულ სხივის ნარნარებით დაამღერა მან არჩილ ჯორჯაძის სამარადისო განსასვენებელზე, მასვე ასლით ასლობამდ დაახასიათებდა:

„კალამი მისი, უსისხლო ხმალი,—

ფაქიზი, როგორც თვით მისი გული,

სუსტ ხელში იყო მკვეთრი მახვილი,

სუსტ ხელში იყო მძლედ ამართული!“

უსაზღვრო სევდა, სევდა ფოლადი, მან სამშობლოს ბედნიერებას ჯავშნად შემოარტყა, შეუდუღაბა. თვით მაშინაც კი, როდესაც ისედაც სუსტს ხელზე ბორკილი შეასხეს და ცივს უცხო მხარეში გაისტუმრეს ვით დამნაშავე, იგი ახალის ენერგიით, ახალის სიცხოველით იგზნება, ახალს გრძნეულებას სწავლობდა. შეკითხვაზე, თუ „სად არის ჩემი მიწა-სამშობლო“, მისი გრძნეული ჩანგი „ცრემლების შეთვლით“ ფანტასტიურ ეკრანზე უვლენს ამ ეთერის ჯადოსნურ სახეს, ახარებს შვებას და ახალის იმედის სხივით ჰმოსავს მის დაჭანცულს სულს.

ევდოშვილმა უფრო, ვიდრე მისმა მასწავლებლებმა, აღრევე აუღო ცხოვრებას ალღო. საქართველოს ზერელედ უკან ყურება, უბრალო რომანტიკოსობად მოეჩვენა. სულ სხვა იყო ამ დროს ახლად გამოსულ ჯგუფის ჰანგი, ეს იმ ჯგუფისა, რომელსაც უცნაურ ქადაგებასთან ერთად ჩვენს ცხოვრებაში შემოჰქონდათ სრულიად უცნობი, ჯერ არვისგან გაგონილი ხმები შვებისა, ჩაგრულთა გასანთავისუფლებლად. შავხელთა ძახილი ღრმად ჩასწვდა მგოსნის მგრძნობიერ გულს. იგი სწრაფად ითვისებს მას. ჰაბუკს აღაფრთოვანებს სიახლე, საყვირს ხელთ იპყრობს და თვითვე ჰხდება ახალი ნაკადულის ახალი მებუკე, ახალი ბაირახტარი. შავი ხელი მუშისა ტრიუმფით ატარებს მას. მაგრამ მოხდება საოცრება და მალე მომჯადოებელი თვითვე იხიბლება თვისი გრძნეულებით, იგი ბრმავდება. მშობელი ქვეყნის კვნესისთვის მისი მუზა ყოუვდება, აღარას ისმენს! მართლაც, რევოლიუციის საშინელი კატასტროფა იყო საჭირო, რომ რომანტიზმის მნგრეველი და უნებლიედ ბრმა რომანტიკით შეპყრობილი გამოეხიზლებულიყო და თვალი აეხილა. რევოლიუციამ საინამდვილის სანახაობით შეაკრთო მგოსანი, რევოლიუციის საშინელებამ გაათავისუფლა მისი ტყვედ ქმნილი მუზა, რევოლიუციამვე ფართო გზა მისცა მის ნიჭს გასაშლელად, გასაფურჩქნელად. აქედან იწყება მისი გარდატეხის ხანა, და თუ გნებავთ, მისი გარდაქმნის ხანა. ამიერიდან იროდიონი არა მარტო შავ ხელთა მესაიდუმლეა, იგი უაღრესად **სამშობლოს** რწმუნებული რაინდია, ამ ტყვედ-ქმნილი ნესტანდარეჯნის ტანჯვათა ფსალმუნებელი. ეს „საუნჯე უბრკილო გრძნობა-გონების“ მისთვის ერთგვარი თილისმაა, ახალ საიდუმლოთა, ახალ ცნაურებათა თაიგულის გამოსაკვალთად. ჰანგი მისი უკეთილშობილეს და უნაზეს ხმებით მოქსოვილი ტკბილად, მეტად ტკბილად იმღერების და ქართველი ერიც მას იღებს ერთგვარის აღტაცებით, ერთგვარის ნუგეშით, სასოებით.

სამშობლოს საკურთხეველზე ნელნელ მგოსანი თავისდა შეუმჩნევლად დნებოდა და ეს ღონა მას ახარებდა, აქეზებდა, ახალისებდა ახალ-ახალი ჰიმნების მოსაქსოვად, ახალ-ახალი ჰანგების დასამღერებლად. ამ სიხალისემ შორს წარიტაცა ჩვენი მგოსანი და სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ შემთხვევაშიც მან უფრო, ვიდრე რომელიმე მისმა თანამედროვემ, ადრევე შეჰსვა სიცოცხლის წყალი, ადრევე სცნო ის, წინ გაუსწრო... ადრე დაგვშორდა!..

ჩვენი მწერლობის შავი ფურცელი გარდაიშალა:

იროდიონი აღარა გვყავს!

დ. კასრაძე.

+ იროდიონ ევდოშვილი



იროდიონ ევდოშვილის ფაქსიმილე.

ევდოშვილის ხსოვნას

კიდევ ცრემლები, ცხარე ცრემლები,
კიდევ ნაღველი და მწარე სევდა,
მკაცრი სიკვდილი და ულმობელი,
დღე—მუდამ თან გვდევს სულ ზედ-ზედა.
ნეტავ ჩვენ წილ ღმერთს რა დაუშავეთ,
რითი შევცოდეთ, ან რით შევბღალეთ,
რომ შეუშრობელ ცრემლების დენით
გვაქვითინებს და გულს გვიკლავს მწარეთ!
ძმად შეფიცულო გოლგოთის ჯვართან,
ტკბილო ძმობილო და მეგობარო,
ნუთუ ჩემს ტანჯვას აღარ აქვს ბოლო?
ბიჭო, ცრემლები როდემდის ვღვარო?!
ჩვენმა სამშობლომ, ტკბილმა სამშობლომ
ნუთუ ყველანი მთლად მოგვიძულა?!
სხვებისთვისაც კი ტკბილმა სამოთხემ
ცრემლების ფრქვევა რად გვაიძულა?!
მშვიდობით, ძმაო, მხოლოდ მშვიდობა
ჩემს ტანჯულს გულში აღარ სადგურობს,
საუკეთესო პირებს რო ჰკარგავს,
შხამს, ნაღველსა სვამს და უბედურობს.

შიო მღვიმელი.

ირ. ევდოშვილის ხსოვნას

კიდევ ერთი სიმი ასწყდა სამშობლოს ჩანგს გაბზარულსა...
კიდევ სევდა მიემატა ერის ტანჯვას... ერის წყლულსა...

სამრეკლოზე ხმა შეწყვეტით კვლავ ჩამოჰკრეს გლოვის ზარსა...
კიდევ ერთი ვარდი მიაქვს ჟამთა მღვრიე ნიაღვარსა...

ეხ!.. სამშობლოვ!.. ნუ თუ შენს შვილთ, შენს ყრმა ვაჟკაცთ ეს ჰხვდა წილად?!
რომ ზოგს გტაცებს გველვეშაპი... ზოგს სიკვდილი იყვანს შვილად?!.

კიდევ ერთი სიმი ასწყდა სამშობლოს ჩანგს გაბზარულსა...
მაგრამ ისევ მტკიცედ ვხვდებით ახალს ტანჯვას... ახალს წყლულსა!..

ილ. მოხაშვილი.

ირ. ევდოშვილი

იროდიონ ისაკის ძე ევდოშვილი (გვარად ხოსიტაშვილი) დაიბადა ქიზიყის სოფ. ბოდბისხევში 1873 წ. მამა მისი ისაკი გახლდათ ამავე სოფლის ეკლესიის მთავარი. მისი დედის სახელი იყო ევდო (ევდოკია). ალბად დედის უზომო სიყვარულმა მისცა საბაბი მგოსანს, რომ ფსევდონიმათ აერჩია დედის სახელი და საზოგადო ასპარეზზე ევდოშვილად გამოსულიყო.

პატარა იროდიონი სასკოლო ასაკამდე უფროსმა ძმამ პოლკოვნიკმა ილარიონმა (მაშინ ოფიცერმა) თბილისში ჩამოიყვანა და ერთს პანსიონში მიაბარა. მერე სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებელში შეიყვანეს. აქედან თელავის სასულიერო სასწავლებელში გადაიყვანეს, სადაც დაასრულა კურსი და თბილისის სასულიერო სემინარიაში გადმოვიდა. აქ დაჰყო სამს წელიწადს და მესამე კლასიდან არაკეთილსაიმედობისათვის დაითხოვეს იგი. შემდეგ „ვოლნოოპრედელიაუშად“ შევიდა და პრაპორშჩიკობა მიიღო. საბეჭდრო სამსახურიდან მალე გამოვიდა.

შემდეგ ბაქოში მსახურობდა რამდენსამ წელს „ნობელის კანტორაში“.

1899 წ. მაჩხაანის დეპოში (ქიზიყშია) მიიწვიეს. 1900 წ. ევდოშვილი ისევ თბილისს დაუბრუნდა და გულმოდგინეთ მოჰკიდა ხელი სამწერლო მოღვაწეობას. ჯერ ილიას „ივერია“-ს რედაქციაში მუშაობდა. შემდეგ, როდესაც „კვალი“ ნ. ჟორდანიას ხელში გადავიდა ევდოშვილმა „კვალ“-ში დაიწყო მუშაობა. 1900—1903 წლებში მუდმივი და ხშირად ერთად-ერთი თანამშრომელი იყო ყოველ-კვირეული ჟურნალ „კვალი“-სა. 1904 წელს, რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებისას, იგი, როგორც სათადარიგო პრაპორშჩიკი, ჯარში გაიწვიეს. 1905 წლის შემოდგომაზე კვლავ მიატოვა სამსახური. 1909 წელს, ღვინობისთვეს, თბილისში დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. აქ ათი თვე დაჰყო და სასამართლოს განაჩენით, 3 წლით გადაასახლეს ვოლოგდის გუბერნიის ქალ. სელევიჩეგოდსკში. ციხეში დასუსტებულ-დაავადებული ეტაპით გაისტუმრეს იგი. გზამ და უმადურმა ცხოვრებამ უფრო დაასუსტა და დაასნეულა მისი ჯანი, რის გამოც ექიმების შუამდგომლობით შეღავათი მისცეს და ერთი წლის შემდეგ სელევიჩეგოდსკიდან ასტრახანის გუბერნიაში გადმოიყვანეს. აქ საბინადროდ დაუნიშნეს ჩორნი-იარი, სადაც ერთი წელიწადი ტანჯვა-წვალებაში და ავადმყოფობაში გაატარა. ავადმყოფობის გამო ექიმების შუამდგომლობით მესამე წელიწადი აპატიეს და 1903 წ. სამშობლოში დაბრუნების ნება მისცეს, მხოლოდ ქ. თბილისს არ უნდა გასცილებოდა და პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა ეცხოვრა.

სამშობლოში დაბრუნებისას ევდოშვილი უკვე საგრძნობლად დასუსტებული და ჯან-გატეხილი იყო, თუმცა სიკერპით არ უტყდებოდა ავადმყოფობას და საწერლო მოღვაწეობას დაუდგრომლად განაგრძობდა. ამავე წელს ისე დასუსტდა, ისე ჩამოდნა, რომ ექიმების რჩევით დასასვენებლად და სამკურნალოდ ცემში გაემგზავრა.

მისმა ხანგრძლივ ნაწამებმა სხეულმა ველარ შესძლო მგოსნის აღტყინებულ დაუდეგარ სულის ფეხ და ფეხ მიყოლა და ჩვენი საყვარელი მგოსანი ლოგინად ჩავარდა.

მთელი ზაფხული 1913 წ. ცემში გაატარა. ხოლო იმავე შემოდგომაზე (ღვინობისთვეში) ექიმების რჩევითვე სოხუმში გაემგზავრა, სადაც 1914 წლის მარტის გასვლამდე დაჰყო. სოხუმმა სასწაული მოახდინა, ჯან-ღონე აღუდგინა და განახლებულის ენერგიით გამოისტუმრა თფილისისაკენ, თუმცა, სრული განკურნება ჯერ არც ისე ახლოს იყო.

თფილისში ახლად იყო ჩამოსული, როდესაც „ჰორიზონ“-მა დასტამბა ისტორიული სიცრუე ზღაპრულ ჩოხოსან ფაფახიან ქართველებზე, რომელთაც ვითომც სტამბოლის მთავრობასთან მოლაპარაკება გაემართათ ქართველი ერის სახელით, ამ ამბავმა საშინლად ააღელვა მგოსანი და „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში, ამ საგანზე საუბრის მერე, დასწერა საპასუხო წერილი, რომლის დაბეჭდვაც რედაქციამ შესაძლოთ ვერ სცნო.

რედაქციიდან ერევნის მოედანზე გასულს, ვაგონში ჩაჯდომის დროს, სისხლი ამოუვიდა... სწრაფი დახმარება აღმოუჩინეს კავკასიის სააფთიაქო საქონლის ამხანაგობის მაღაზიაში, საიდანაც ბინაზე სწრაფ-დამხმარე ეტლით მწოლიარე მიიყვანეს. ავადმყოფობის დროს თავს დასტრიალებდნენ ჩვენი ექიმები: შ. მიქელაძე, ვ. ღამბაშიძე, ივ. გომართელი. ცოტათ რომ დაუწყნარდა ნერვები და ადგილიდან დაძვრა საშიში აღარ იყო, ექიმების რჩევით, წაღვერში წაიყვანეს სააგარაკოდ.

სულ ახალი ჩასული იყო წაღვერში როდესაც ასყტდა დღევანდელი მსოფლიო ომი. ევდოშვილი, როგორც სათადარიგო პრაპორშჩიკი, ვალდებული იყო ტფილისში სათანადო მთავრობას გამოსცხადებოდა ავადმყოფ კაცს ორჯელ მოუხდა ტფილისში ჩამოსვლა

ცხადია, ფიზიკურ სისუსტეს სულიერი მღელვარებაც ზედ დაერთო და ეს ზაფხულიც წაღვერში თითქმის ლოგინად გაატარა. წაღვერიდან დაბრუნებისას ერთი ოვე ქიზიყში დაჰყო და ისევ ტფილისს დაბრუნდა. 1915 წ. გიორგობისთვეში მეგობრებმა კვლავ სოხუმში გაისტუმრეს.

ნიკო, კატო და ექიმი ზურაბ იოსების ძე ბაქრაძე, ელენე ანტონის ასული მამფლაიშვილი ვახაძისა და ლ. გ. ბოცვაძე ღრმად მწუხარენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი საყვარელის და უძვირფასესის დედის, მეორე დისა და მესამე სიდედრის

ელისაბედ ანტონის ასულის ბაქრაძის

უდროოდ გარდაცვალებას, აპრილის 30, საღამოს 8 საათზე. მიცვალებულს გამოასვენებენ სამშაბათს მაისის სამს დილის 9 საათზე, პირველი დუშეთის შესახვევი სახლი გლადიშევისა № 4; წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქმნება ქაშვეთის ტაძარში, დაკრძალვა მოხდება წირვის შემდეგ პეტრე-პავლეს ეკლესიის გალავანში მისი ქმრის იოსებ ბაქრაძის გვერდით.

(1-169-1)

სახალხო სახლი

ოთხშაბათს 4 მაისს ქართ. დრამ. დასის მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგ. იქნება სობოლშჩიკოვ-სამარინის მიერ სენკევიჩის რომ. გადმ. ცნობილი პიესა

ვიდრე ხვალ!..

დრამა 5 მოქ. თარგ. ა. წერეთლისა

მონაწილეობას მიიღებენ: აბაშიძე ტასო, დავითაშვილი ნ., ბეჟანიშვილი ს., ქიქოძე ანტა, ჯავახიშვილი ნ., გუნია ვალ., გომელაური ზაქ., იმედაშვილი ალ., ივანიძე ი., გედევანოვი, გ., ვარვარიძე, ვ., გვარაძე ნ., კორიშელი პ., თარალაშვილი ი., მამფორია ილ., სარაული კ., ხონელი შ., ჩაგუნავა კ., და სხ.

წარმოდგენის დასაწყისი ხალ. 8 ს. — რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მ. 50კ.-მდე. (2-90-1)

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი. 30 აპრ. ოფიციალი. ოგინის სრუტეში ტელეჟანის ასპარეზის პირდაპირ მტერმა საარტილერიო სროლა გააცხოველა მდინარე პრიპიატის სამხრეთ მიდამოებში მტრის რაზმები ამოქმედდენ და ადგილ-ადგილ ხიშტებით ბრძოლა სწარმოებდა. სამხრეთ-აღმოსავლეთით კოლკიდან და პოჩაევის მიდამოებში გერმანელები შეეცადნენ რუსის თხრილებს მოახლოვებოდნენ, მაგრამ მოვიგერიეთ.

კავკასიის ასპარეზი. ერზინჯანის მიმართულებით რუსის საველე ჯარმა, მოხალისეებთან ერთად, ღამე მტერზე იერიში მიიტანა და მთის მწვერვალო, რომელიც ახლომახლო მიდამოებს დასცქეროდა, ხელთ იგდო. აქ ჩვენ 30 აფიცერი და 365 ასკერი ტყვე წამოვიყვანეთ. ოსმალთა იერიში მამახათუნის მიმართულებით ჩვენმა მოწინავე ჯარმა ადვილად მოიგერია.

ჩვენი ბრძოლის მარცხენა ასპარეზზე ორი დღის ბრძოლის შემდეგ მტერი დავამარცხეთ, ხელთ ვიგდეთ ტყვეები, ერთი მოწყობილი ზარბაზანი, 2.000 თოფი, რამდენიმე ასი ათასი თოფის ტყვია, წამალი და სამხედრო ტანთსაცმელი.

პეტროგრადი, 1 მაისი. ოფიციალი დასავლეთი ასპარეზი. დასავლეთით ოლიკის მიდამოებიდან რუსის არტილერიის ცეცხლმა მტრის ზარბაზანი ააფეთქა. შუა სტრიპაზე მტრის რაზმები შეეცადნენ რუსის თხრილებს მოახლოვებოდნენ, მაგრამ რუსის ჯარმა გაჰფანტა; ხელთ ვიგდეთ ტყვეები.

კავკასიის ასპარეზი. ბაიბურთის მიმართულებით მტრის იერიშები მოვიგერიეთ და ძლიერაც დავაზიანეთ. ერზინჯანის მიმართულებით, აწკალის მიდამოებში, მტერმა ძლიერ ჯარს მოუყარა თავი და იერიში მოიტანა, მკაცრი ბრძოლის შემდეგ, რომელიც მთელი დღე გრძელდებოდა, ზოგიერთ ადგილებში მტერმა შესძლო რუსის ჯარის უკან დაწევა; მტერი აქ ძლიერ დაზიანდა და იძულებული გახდა შეტევა შეეჩერებინა. მოსულის მიმართულებით რუსის ჯარმა მესოპოტამიაში რევანდუზას მიდამოები დაიპყრო. დამარცხებულ მტრის ჯარმა დახევის დროს 3 ზარბაზანი, მრავალი თოფ-იარაღი და ერთი რაზმის კანცელარია დასტოვა.

—

პარიზი, 29 აპრილი. ოფიციალი საღამოს ცნობა. მდ. მაასის მარცხენა ნაპირზე მთელის დღის განმავლობაში ბრძოლამ საშუალება მოგვცა ჩვენი ბრძოლის პირი გაგვეფართოვებინა ოკურის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მორტჰომ-კიუმერის მიდამოებში ხდებოდა ყუმბარების მკაცრი სროლა. მდ. მაასის მაჯვენა ნაპირზე გერმანელებმა საშინელი საარტილერიო ცეცხლი გაახილეს ჩვენი პირველი და მეორე ხაზის ორდემონის ტყის და ვოს შუა, გერმანელების იერიში, რომელიც მიმართული იყო დუომონის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ჩვენს თხრილებზე მოვიგერიეთ. დანარჩენს ფრონტებზე ხდებოდა საარტილერიო ბრძოლა, რომელთაც უფრო მკაცრი ხასიათი ჰქონდა შამპანებში და ვოგეზებში.

პარიზი, 30 აპრილი. დღის ოფიციალი ცნობა. მდ. მაასის მარცხენა ნაპირზე გრძელდება განუწყვეტელი საარტილერიო ბრძოლა ავოკურის ტყესა და მე „304“ მაღლობზე. ღამის განმავლობაში ჩვენ ოდნავ წინ წავიწიეთ „287“ მაღლობის წინ, მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე გუშინ, საღამოს გერმანელთ განაახლეს იერიშები ფორ-დუმონის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ჩვენს თხრილებზე; მაგრამ მიუხედავად უსაშინელესი საარტილერიო ცეცხლისა, რომელიც წინ უძღოდა იერიშებს, ჩვენ უკან არსად დაგვიხევია და მტრის ყველა იერიში მოვიგერიეთ, რომლის დროსაც იგი დავაზარალეთ. დანარჩენმა ცდამ მტრისამ უნაყოფოდ ჩაიარა. ეპარჟთან მტრის ძლიერმა მზვერავმა რაზმა რომელმაც არტილერიის ცეცხლის შემდეგ სცადა ჩვენს ხაზებს მოახლოვებოდა თხრილებიდან ვერ გამოვიდა. პარუას ტყეში ბანდესპართან ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. დანარჩენ ფრონტზე სიმშვიდეა.

პარიზი, 30 აპრილი. საღამოს ცნობა. არონის და სენტ-ილერ-ლეგრანის მიდამოებში ხდებოდა ძლიერი საარტილერიო ბრძოლა. მდ. მაასის მარცხენა ნაპირზე საარტილერიო ბრძოლა ცოტა მინელდა. ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიში, მიტანილი მე „304“ მაღლობის დასავლეთით. ზერმანელთა ცდა,--მოეტანათ უცაბედი იერიში მორტჰომის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე—ვერ იქნა განხორციელებული. მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე დღემ მშვიდად ჩაიარა. დანარჩენ ბრძოლის პირზე შესანიშნავი არაფერი მომხდარა რა. გრძელდებოდა ჩვეულებრივი საარტილერიო ცეცხლი. 30 აპრილს ღამით ერთმა ჩვენმა საჰაერო რაზმმა, შემდგარმა 10 აჰეროპლანისგან 43 ყუმბარა ჩამოაგდო ნატინულის და ბრიელის სადგურებზე, აგრეთვე მონფოკონზე და ომონზე. იმავ ღამეს ჩამოჰყარეს ყუმბარები მეიუცფრასკატში.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ვილჰელმი და სოციალ-დემოკრატები

„Dailu Mail“-ის სიტყვით, იმპერატორი ვილჰელმი უკანასკნელ ხანებში დიდის ყურადღებით ეპყრობა სოციალ-დემოკრატებს და მათ ბევრ საკითხშიც თანაუგრძნობს. ამ უკანასკნელ ხანში, ვერდენის ასპარეზზე წასვლის წინ, კაიზერმა პორტსდამის სასახლეში სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელნი ევერტი და შეიდემანი მიიღო. ვილჰელმი მათ შეეკითხა, რა გზას დაადგებიან სოც.-დემ. თუ ვინიცობაა ომი გაგრძელდა? შემდეგ კაიზერმა გინაცხადა:, მე სოც.-დემ. წინააღმდეგი არას დროს არ ვყოფილვარ მუშათა ეკონომიურ პირობების გაუმჯობესობის საკითხში, ვკიცხავდი ნხოლოდ სოც.-დემ. უპატრიოტობას, გაფიცვებს და უწესრიგობას.

როგორც ანტი პატრიოტული გრძნობა, აგრთვე წესიერების დარღვევა არ შედის მარქსის მოძღვრებაში, რადგანაც იგი უპირველესად ეკონომისტიაო,—სთქვა ვილჰელმა.

ვილჰელმა ისიც აღნიშნა, რომ სოც. დემ. ომის განმავლობაში პატრიოტიზმს და დისციპლინას არა ჰღალატობს და ამით მთავრობის მოქმედებას შეუერთდა.

ბოლოს ვილჰელმა სთქვა: უკანასკნელ ხანში გერმანეთის მთავრობის და სოციალისტთა შორის უკმაყოფილება არ არის და თუ სოც.-დემ. ლიბერალ პარტიების წყალობით რეიხსტაგში უმრავლესს შეჰქმნიან, მთავრობა წინააღმდეგი არ იქნება მთავრობის აღმასრულებელ ორგანოში მოექცნენ სოც.-დემოკრატები.

ოსმალეთის ლაშქარი

„Dailu Nevs“-ის სიტყვით და სარწმუნო წყაროების მიხედვით, ოსმალთა ლაშქარი 400,000 კაციდან შესდგება. მესოპოტამიაში 100.000 ჯარისკაცი იმყოფება, სირიაში 60 ათასიანი არმია ჯემალ-ფაშისა, რომელსაც ეგვიპტეში უნდა ემოქმედა წინედ, ეხლა კი სირიის ნაპირები უნდა დაიცვას. დარდანელის და ალექსანდრეტტას შუა არქიპელაგის და ხმელთა-შუა ზღვის პორტების დასაცველად 40.000 ჯარის კაცი ჰყავთ. სტამბოლს და ფრაკიაში კი ჯარი სრულებით არ არის. უმთავრესი ძალა ოსმალეთისა, რომლის რაოდენობა 200 ათასს აღწევს, გენერალ ლიმან-ფონ-სანდერსის ხელმძღვანელობით სივას-ხარპუტის ასპარეზზე იმყოფება. ზემოხსენებულ ადგილებს თურქები ამაგრებენ და დიდის გულისცემით მოელიან ახალ სიმაგრეთა დათავებას. სივასის და ანგორის შუა გაყვანილია შესაერთებელი რკინის გზა. ჯარის და სამხედრო ტეხნიკების გარდა გერმანელები სივასში იარაღს და სურსათს ჰგზავნიან.

ხივა და რუსეთის სამხედრო სესხი

რუსეთის ახალ სამხედრო სესხს არ მოაწერეს ხელი ხივის ფირმებმა. არავითარი თანაგრძნობა არ აღმოუჩენიათ სესხისთვის ხანის კარის-კაცებსაც.

გერმანეთი და ამერიკა

ბერლინის გაზეთები ამბობენ: გერმანეთმა დაუთმო ამერიკას ამიერიდან შეჰპორკავს თავის წყალქვეშას. ასევე უნდა მოიქცნენ გერმანეთის მოპირდაპირე სახელმწიფონი და მით დაიცვან საერთაშორისო უფლება. თუ არა, ამბობს: „Lokal Anseiger“ ამერიკას სურდა უთანხმოება და ნეიტრალობის დარღვევა.

ვერდენთან

„რუსკ. ინვალიდი“ სამხედრო მიმოხილვაში ჰსწერს:

ახლა ვერდენთან გერმანელები თავგანწირულად მოქმედობენ. ზარბაზანთა საშინელ სროლისგან ყურთა სმენა აღარ არის.

გერმანელებ არაკითარს ზიანს არ იმჩნევენ და მთელის ძალებით იწევენ მაასის მარჯვენა ნაპირზე პუავრის სიმაღლის ჩ დუომონის შუა ადგილებისკენ, თანდათან უახლოვდებიან ვერდენს, რომლიდანაც შვიდი ვერსის მანძილზე სდგანან.

უფრო საშინელი ბრძოლაა „304“ სიმაღლე!თან, მდინარე მაასის მარცხენა ნაპირზე. ეს მოქმედება მხოლოდ მითი აიხსნება, რომ გერმანელებს ჰსურთ, მოუაროონ დასავლეთით ვერდენის სიმაგრეებს და ვერდენი პარიზს სრულებით მოსწყვიტონ.

90 წლის გენერალი გეზელერი, კრონ-პრინცის ხელმძღვანელი ბერლინს დაიბარეს, რადგანაც გერმანელნი კმაყოფილნი არ არიან მისი სუსტი მოქმედებით ვერდენთან.

„რუსკ. სლოვოს“ ატყობინებენ: მიტავაში გერმანელებმა კრუპპის ქარხნის განყოფილება გახსნეს. ეხლა ლიბავაში პირველ ხარისხოვან საზღვაო ციხეს ამთავრებენ.

კავკასიის ასპარეზი

უმაღლესი მთავარ სარდლის შტაბი იტყობინება, კავკასიის ასპარეზზე, ოსმალთა მხრით მოქმედებამ ფრიად სასტიკი ხასიათი მიიღო. წინანდელ წვრილ-წვრილ შეტაკების ნაკვლად, კავკასიის ასპარეზზე ოსმალებმა მნიშვნელოვანი ბრძოლა გამართეს. ყოველ დღე იზრდება მათი არმია და ბოლო ხანებში მათ შორის მოქმედობენ ის დივიზიები, რომელნიც წინედ დასავლეთის ასპარეზზე და გალიპოლისის ნახევარ-კუნძულზე მოქმედობდნენ. ოსმალებმა გადასწყვიტეს ენერგიული ზომები მიიღონ და აზრუმის დაცემის შემდეგ საქმე კარგად წაიყვანონ.

მალე გამოჩნდებიან კავკასიის ასპარეზზე გერმანელები და ბულგარელ-ავსტრიელნიც, რადგან ისინი, როგორც ოსმალეთის მოკავშირენი, კავკასიის ასპირეზს დიდ მნიშვნელობას აძლევენ. აზრუმ-ტრაპიზონის დაცემის,,შემდეგ უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცა ასპარეზს ჩ მისთვის ვერავითარი ძალა ვერ წინააღუდგება მათ მიერ ჯარის გავრცელებას კავკასიის ასპარეზზე.

17 წლიანების გაწვევა ავსტრიაში

24 აპრილს ვენიდან მოსულის ცნობით, ავსტრიაში გაიწვიეს 17 წლიანები. სამხედრო მოქმედების გასაძლიერებლად და სამშობლოს კეთილდღეობისთვის, ავსტრიის საკონსულო წინადადებას აძლევს 1898 წ. დაბადებულთ 15 აპრილს გამოცხადნენ.

ნაროჩის ტბასთან

ნაროჩის ტბასთან ბრძოლის შემდეგ გერმანელები დიდად დაზარალდნენ. ადგილობრივი საავადმყოფონი სავსენ დაჭრილებით და რკინის გზაც მათ გადაყვანა-გადმოყვანას უნდება. გერმანელ ტყვეების სიტყვით ეს ბრძოლა თავგანწირული იყო და იშვიათი წარსულ ომთა რიცხვშიო.

რიგასთან

თვეზე მეტია თითქმის რაც იქსკიულის ციხე-სიმაგრეს გერმანელები ყუმბარებს უშენენ. მინდვრები მთლად გადათხრილია ყუმბარით და ზარბაზნების ტყვიებისგან. ბოლო დროს, გერმანელებმა დიდი საქმიანობა გამოიჩინეს კეკაუს მიდამოებში, სადაც მთელი ზამთარი სიმშვიდე სუფევდა. გერმანელები ფრიად ანავითარებენ მოქმედებას ზარბაზნის სროლით და ჰაეროპლანებიც ხშირი სტუმრები არიან აქეთ მხარისა.

კავკასიის ასპარეზი.

„რუს. ინვალიდი“-ს სამხედრო მიმოხილველი სწერს: ერძინჯანის მიმართულებით ოსმალები ჯარს უყრიან თავს და სცდილობენ ამ ადგილებიდან რუსები როგორმე უკან დასწიონ; ამით ოსმალები დიდ დახმარებას გაუწევენ თავის ჯარს, რომელიც ბაუბურთში მოქმედობს. მიუხედავად იმისა, რომ ერძინჯანის ასპარეზზ ოსმალებს მაშველი ჯარიც მიემატა, თვალსაჩინო მაინც არა მომხდარა-რა. მთელ კავკასიის ასპარეზზე მხოლოდ წვრილ-წვრილი შეტაკება ხდება, თუმცა შესაძლებელია რომ მალე პირობები სულ მთლად შეიცვალოს.

ქასრი-შირინი თუმცა რუსებმა ხელთ იგდეს, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს.

ახლო მომავალში ბაღდათთან დიდსა და სერიოზულ ბრძოლებს უნდა მოველოდეთ.

გრძოლის ველზე

არც ერთ ასპარეზზე საგულისხმიერო არა მომხდარა რა. თითქმის ყოველგან ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რუსეთის უმთავრს ფრონტს, რიგა-დვინსკის ასპარეზს, სადაც გერმანელთა ჯავშნიანი ავტომობილები რუსთა თხრილებამდინ იჭრებიან, რათა აქედან სროლა აუტეხონ ამა თუ იმ პოლკისა თუ დივიზიის მთავარ სადგომებს. ამას გარდა გერმანელებმა ძოუბზირეს მზვერავთა რაზმების გზავნა. ნაროჩის ტბასთან შოლცის მეთაურობით, როგორც რუსის საძხედრო მიმომხილველნი ანგარიშობენ, ორ კორპუსამდე გერმანელი დგას და შეტევით ემუქრება. თქმა არ უნდა, ყველა ეს ყვავილები უნდა იყოს ფართო ლაშქრობის დასაწყობად.

მაგრამ რაც კავკასიის ასპარეზზე ხდება, ჩვენთვის ფრიად საინტერესო რამ არის. კვლავ აწკალა და ბაიბურთი ახსენა მთავარმა შტაბმა. როგორც მოხსენების კილოდან სჩანს, ოსმალებს ამ მხრით სერიოზული ლაშქრობა დაუწყვიათ. „დიდი ძალებით გვეკვეთნენ, მთელი დღის განმავლობაში სასტიკი ბრძოლა აგვიტეხეს, ჩვენს მოწინავე რაზმებს უკან დაახევინეს, მაგრამ საბოლოოდ შევაჩერეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთო“. ეს მოხსენება ფრიად დამახასიათებელია. ოსმალთ იერიშები მოაქვთ. ინიციატივის გაძლიერებას უფრო ვხედავთ, ვიდრე შესუსტებას. საბედნიეროდ თუ ერზინჯან-ბაიბურთ-აწკალა-მამახათუნის ხაზზე მაგრად ჰგრძნობენ ოსმალები თავს, სამაგიეროდ ბითლისის მიმართულებით რუსები წინ იწევენ და მესოპოტამიისაკენ მიისწრაფვიან. ახლა აუღიათ რევანდუზა და ხელთ სამი ზარბაზანი უგდიათ. სამი ზარბაზანი მესოპოტამიისთვის კი დიდს დავლად უნდა ჩაითვალოს.

ვერდენთან, როგორც თვით პარიზიდან მოსული ოფიციალი ცნობა ამბობს, გერმანელები მოქმედებას აძლირებენ. წინააღმდეგ ჰავასის სააგენტოს ცნობებისა, მდგომარეობა უფრო სერიოზულია, ვიდრე წინად.

ლოოსისა და იპრის მიმართულებით გერმანელთ იერიშები დაუწყვიათ. ერთი ასეთი ლაშქრობის შედეგი ამბობს, რომ ამ დღეებში აქ მდგარ ინგლისელებს 500 იარდი მანძილი წაართვეს. ინგლისელებმა კონტრიერიშებით აქედან მხოლოდ მცირედის დაბრუნება მოახერხეს.

X

თბილისი, 3 მაისი.

აჭარაში მომხდარ ინციდენტის გამო. დიდი ენერგია დაიხარჯა რომ საზოგადოებას და მთავრობას აჭარის ნამდვილი ვითარება უწყებოდა და რომ ბოლოს და ბოლოს სწორის სახელმწიფოებრივის თვალსაზრისით გაშუქებულიყო ქართველ მაჰმადიანთა შორის საწარმოებელი მუშაობის ხასიათი და ბუნება. მთავრობამ, როგორც იქნა, კატასტროფის შემდეგ დაინახა რომ ქართული კულტურის დამკვიდრება საქართველოს სამაჰმადიანო ნაწილში ამავე დროს რუსეთის სახელმწიფოებრიობის დამკვიდრებაც იყო.

იშვიათი შემთხვევა არის, ბუნებით უნათესაო დასაბამის შერიგებისა და შეთანხმებისა ყველასათვის სასარგებლო გამოდგა. აჭარაში ქართულ თაოსნობას შედარებით ფართე ასპარეზი მიეცა, საქველ. საზოგადოება რამოდენიმე სკოლა გახსნა, რომელთაც მრავალი პატარა აჭარელი ქალი და ვაჟი დიდის ხალისით მიაწყდა. ხსენებულმა საზოგადოებამ ადგილობრივ მეურნეობასაც თავისი ყურადღება მიაქცია და ინსტუქტორები გაგზავნა. ამის გარეითად თვის შეძლების ფარგალში საზოგადოება ნივთიერ შეწევნით შველოდა ომისგან აოხრებულ ქართველ მაჰმადიანებს.

ყველა ამისგან მოგებაში იყო როგორც თვით აჭარა, აგრეთვე საერთოდ ქართული საქმეც და რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესიც.

მაგრამ ყოველივე ამას მხოლოდ შემთხვევითი ხასიათი ჰქონია. ეს ახალი შეგნება მთავრობამ თავის პოლიტიკის შეურყეველ საფუძვლად ვერ გაიხადა და მასზედ, როგორც სჩანს, თავის ყოფაქცევის სიმკვიდრე ვერ ააგო. საკმარისია სრულიად უბრალო რამ მოვლენა, რომ ყველაფერი აფორიაქდეს, აირ-დაირიოს, ალიაქოთი ჩ აური-ზაური ატყდეს. არა მოსჩანს მოვლენათა ნაირ-ნაირობაში გამოწრთობილი მართველი გონიერების აღუშფოთველობა და წინასწარად მომზადებული ყოფა ჩ განჭვრეტა მრავალის მოსალოდნელის შემთხვევისა. ჩ ასეთ პირობებში სრულიად გასაკვირი არ არის, რომ უბრალომ და სრულიად უმნიშვნელო რამემ ანარქია დაატრიალოს და სამწუხარო შედეგები მოუტანოს ვაიუბედურებით და მხოლოდ დიდის გარჯით გაჩარხულ საქმეს, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხარისთვის სასარგებლო იყო!

და მოხდა ის, რაც გასაკვირი არ არის. ხულოში ერთმა ნერვებ აშლილმა რუსმა მასწავლებელმა, რომელიც ზაფხულობით სისტემატიურად სანატორიუმში სამკურნალოდ იგზავნება, თურმე აჭარელი მოსამსახურე ბიჭი გალახა. როდესაც გალახულის უფროს ძმას ამბის გასაგებად მიუმართავს მასწავლებლისათვის, ამ უკანასკნელს შეურაცხყოფა მიუყენებია დედის შეგინებით. აჭარელს ეს ვერ აუტანია და მასწავლებელს ხელით შეჰხებია. პატარა მოხელეს მთელი ქართველობისთვის ბრალდება მხად აღმოაჩნდა. ქართველები მოღალატეობენ და ისინი აჭარის „განთავისუფლებას“ ამზადებენ!—დაბეზღება ასეთი გაუგზავნია სადაც ჯერ იყო. ეს საკმარისი იყო, რომ იქაური მთავრობა დაფაცურებულიყო, დაეჭირა ბრალიანი და უბრალო ქართველები და ციხეში ჩაესვათ. ასეთ წამოძახილს ჯერ კიდევ დიდ ხანს გასავალი ექნება ჩვენში. დიდია დიკტატურა პატარა მოხელეებისა და გოროდოვოებისა, რომელთა ფარულ ჩვენებაზედ ჰკიდია ბევრი ხან და ხან მთელი ქვეყნისა! წაოსულ შეცდომების განმეორება არავისათვის ხელსაყრელი არ უნდა იყოს. საჭიროა ასეთ წამოძახილსა და ბრალდებას გასაჩანი არ მიეცეს. ასეთი უმნიშვნელო ეპიზოდები უდავიდარაბოდ უნდა იქმნას გასწორებული, მიუდგომელი გამოძიების დახმარებით. ამაზედ უფრო საჭიროა, რომ ადგილობრივებმა მდაბალმა მთავრობებმა შეიგნონ და განტკიცდნენ იმ რწმენაში, რაც უმაღლეს მთავრობას უწამებია და სახელმძღვანელოდ გაუხდია. ამ ახალმა რწმენამ და შეგნებამ სიმკვიდრე უნდა მოიპოვოს და ადმინისტრატიული პრაკტიკის სისტემად და საძირკვლად დაედოს.

დეპეშები

(პეტროგრადის საკუთარ კორესპ.)

სამიტროპოლიტოების შემოღების მაგიერ სინოდში განზრახულია დაარსონ რამდენიმე საეგზარხოსო კათედრა. ვიკარიები გადაიყვანონ მაზრებში და რამდენიმე მაზრა დაუქვემდებარონ ერთ ეპისკოპოზს.

ინგლისური გაზეთები დიდი აღტაცებით [illegible] ასკვიტის იმ სიტყვას, რომელიც მინისტრ-პრეზინდენტმა მიჰმართა საპარლამენტო დელეგეციას. ამ სიტყვაში ასკვიტმა საჯაროდ განაცხადა, რომ მოკავშირეებს საერთო ინტერესები აქვთ აღმოსავლეთშიო. და სწორედ ამ ნიადაგზედ მტკიცდება და ვითარდება ჩვენი გულწრფელი მეგობრობაო.

—

ფრანგები დიდად ნასიამოვნები არიან ვილსონის პასუხით; ამბობენ ნოტამ სრულებით გაუცრუა იმედი გერმანელებსო. გაზეთ „ეხო დე პარიზ“-ი სწერს: ამერიკელების პასუხი გერმანელების სასტიკი დიპლომატიური დამარცხებააო.

—

პოლკოვნიკი გედკე სწერს: ფრანგებმა თავის თავგანწირული თავდაცვით დრო მოიგეს და ვერდენთან აუარებელი არტილერია მოიტანეს. ამისდა მიხედვით გერმანელებმაც შესცვალეს თავისი გეგმა. შესაძლებელია ახლა თვით ფრანგებმა დაიწყონ იერიშები. გერმანელების მთავარი მიზანია, რაც კი შეიძლება ბლომად გაუწყვიტოს ხალხი.

—

„ბირუევი ვედომოსტი“-ს სამხედრო მიმოხილველი შუმსკი სწერს: ტრაპიზონის და აზრუმის მიმართულებით რუსის ჯარის გალაშქრება დამთავრდა, ამ მთავარი სიმაგრეების აღების შემდეგაო.

—

მესოპოტამიის რაიონში ბრძოლამ მკაცრი ხასიათი მიიღო. ყოველ დღე მოწინააღმდეგეს მაშველი ჯარი ემატება.

—

პეტროგრადში გამოვა ახალი პროგრესიული გაზეთი, რომელშიაც ამფიტეატროვი მიიღებს მონაწილეობას. გაზეთს ხუთი მილიონი მანეთი აქვს. ოთხი მილიონის პაი პროპერმა შეისყიდა. შესაძლოა „ბირუევია ვედომოსტი“ დაიხუროს, რადგან მთელი რედაქციის შემადგენლობა ახალ გაზეთთან შეერთებას აპირობს.

—

ბათუმი (შეგვიანებით).

(საკუთარ კორესპოდენტის.)

სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენეთა ფრაქციის წევრები: კრივცოვი, ვიშნევსკი და შეჩკოვი აჭარელთა პროცესით დაინტერესდნენ და 30 აპრილს საქმის გარჩევას დაესწრნენ.

(პეტრ. საagენტოს დეპეშები).

რუსეთის ასპარეზზე გერმანელებმა ოგინის სრუტესთან მკაცრი საარტილერიო ბრძოლა გააჩაღეს.

—

კავკასიის ასპარეზზე, ერძინჯანის მიმართულებით, აწკალის მიდამოებში ოსმალებმა იერიში მიიტანეს რუსებზე, რომლებმაც უკან დაახევინა.

—

მესოპოტამიაში რუსებმა რევანდუზის მიდამოები ხელთ იგდეს.

—

ვერდენის ასპარეზზე მორტჰმ-კიუმერის მიდამოებში კვლავ საარტილერიო ბრძოლა გაცხოველდა.

—

ავოკურის ტყესთან და „304“ მაღლობთან სასტიკი ბრძოლა გრძელდება. ბრძოლის ცეცხლი სხვა ადგილებსაც ედება.

—

სტამბოლიდან იტყობინებიან: სულთანმა დაამტკიცა სამხედრო სასამართლოს განაჩენი, რომელმაც ეგვიპტეს ნამინისტრალს პოღოს-ნუბარ-ფაშას, ჩამომავლობით სომეხს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, რადგანაც მას ბრალდებოდა დამოკიდებულება, როგორც მოკავშირეებთან, აგრეთვე სომხის კათალიკოზთან. ესენი თურმე სომხების მოპალისეთა რაზმებს ადგენდნენ.

ახალი ამბავი

უმაღლესი ჯილდო. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და თანახმად უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის მოხსენებისა დააჯილდოვა მესამე ქორეპისკოპოსი საქართველოს ეპარქიისა ეპ. ანტონი წმ. ანნას 1 ხარისხის ჯილდოთი, გურია-სამეგრელოს ეპარქიის, ლანჩხუთის ტაძრის დეკანოზი კ. კანდელაკი წმ. ვლადიმერის მეოთხე ხარისხის ჯილდოთი, ხოლო თბ. ამაღლების ეკლესიის წინამძღვარი მღ. ალ. თებზაძე წმ. ანნას მესამე ხარისხის ჯილდოთი.

სახალხეში. მეფის ნაცვალს დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის

ძეს წარუდგნენ თბილისში ჩამოსულნი შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელნი საერობო თათბირზე დასასწრებლად ა. ნ. ნეველოვი და ე. ბ. ბლიუმენაუ.

◆ **თამარის ღღე.** კვირას, 1 მაისს, „განათლების“ საზოგადოებამ სახაზინო თეატრში გამართა თამარ მეფის სახელობის სადღესასწაულო დილა, რომლის წმინდა შემოსავალი გადადებულია ქართველ ქალთათვის სამასწავლებლო სემინარიის დასაარსებელ თანხის გასაძლიერებლად. თეატრს აუარებელი ხალხი მიაწყდა. პროგრამა დღესასწაულისა ასეთი იყო: 1) ბ-ნმა მოსე ჯანაშვილმა წაიკითხა ვრცელი რეფერატი თამარის შესახებ; 2) ცოცხალი სურათი, მაჩვენებელი თამარ მეფის ტახტზე ასვლისა; 3) მ. კავსაძის გუნდმა იმღერა „თამარის დროშა გაშალეს“; 4) გ. დიასამიძემ წაიკითხა აკაკის ლექსი თამარის შესახებ 5) ცოცხალი სურათი „თამარ მეფე და შოთა რუსთველი“; 6) გრ. რობაქიძემ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც დაასურათხატა ხალხური ცოცხალი ლეგენდები თამარის შესახებ და 7) ბოლოს გაიმართა აფოთეოზი. ხალხი დიდად ნასიამოვნები დაიშალა.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი სურამში.** თბილისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს: გ. მ. შალიბაშვილმა, ი. კ. ქურდოვანიძემ, კ. ს. დიდუბელიძემ, თ-დ ზ. ლ. ხიდირბეგიშვილმა, გ. არდიშვილმა, ა. ფ. დიდუბელიძემ და. სხვ. რათა ნება დართოს მათ სურამში სახალხო უნივერსიტეტთა საზოგადოების დაარსების შესახებ. მიზნად ამ საზოგადოებას დასახული აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებათა დაარსება სურამში და მის მახლობელში და დახმარების აღმოჩენა კავკასიის სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებათაც.

◆ **გაჭირვება აჭარაში.** როგორც ბ-ნი ნ. ქამუშაძე ატყობინებს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას, დიდ გასაჭირს განიცდის მაჭახლის ხეობის რამდენიმე სოფელი. გაჭირული ხალხი ამ სოფლებისა ეხლა უბრუნდება თავისს სამშობლო კერას, მაგრამ მოსახლობის აღდგენა ერთობ უძნელდება, რადგან ყველაფერი გაპარტახებულია და ხალხს არ მოეპოვება არც მუშა საქონელი, არც აღარავითარი სამეურნეო იარაღი და არც ფული. ამას ზედ ერთვის ათასგვარი ავადმყოფობა, განსაკუთრებით დედა-კაცთა შორის, რომელიც მუსრს ავლებს უპატრონო გაძვალტყავებულ ხალხს. ბ-ნი ქამუშაძე სთხოვს აღნიშნულ მთავარ გამგეობას, რომ დახმარება აღმოუჩინოს სოფლებს, მაგრამ უპირველეს ყოვლისა გახსნას საფერშლე პუნქტი, საცა ერთი ფერშალი ქალიც უნდა იქნას გაგზავნილი.

◆ **ეპისკოპოსი მეხროფი** მძიმე ავად გამხდარა. ექიმებს ურჩევიათ მისთვის მოსვენება და ხანგრძლივი წამლობა.

◆ **კრების გადადება.** დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა საზოგადო წლიური კრება, 4 მაისისათვის; დანიშნული, უკვე გუსტოეს მეფის ნაცვლის ნებართვით 15 მაისისათვის გადაიდვა.

◆ **სახლის პატრონთა საჩივარი.** მიხეილის ქუჩაზე ამას წინად ტელეფონის კაბელი სახლების გასწვრივ ტროტუარების ქვეშ ჩაჰყარეს. მაგრამ ქვაფენილის ქვები უსწორ მასწოროდ დაუტოვებიათ და აგრეთვე ცემენტით რიგიანათაც არ გაულესიათ. ამის გამო ქვაფენილის ქვეშ წვიმის წყალი ჩადის და იქიდან სინესტე სახლების სარდაფებში ვრცელდება. დაზიანებულ სახლის პატრონებს გიორგი ხუციშვილისათვის მიუმდგიათ ამ ზიანის გამო საჩივარი შეიტანოს სადაც ჯერ არს.

◆ **შემოხიზნულთა გადასახლება.** თბილისში ამ ჟამად 2000-დე გაღმოხვეწილი ხალხია შემოხიზნული. მათ შორის 1,500 დე სომხები არიან, მთავრობის განკარგულებით ყველა შემოხიზნულები 10 მაისამდე უნდა გაიგზავნონ ერევნის გუბერნიაში. იმათ ეხლა ურიგებენ მხოლოდ აპრილის ხვედრ ფულს, თითო სულ ზე 4 მან. 50 კაპ.

◆ **უხვი შეწირულობა.** გარდაიცვალა თავადის ასული ე. ა. ბეგთაბეგოვისა, რომელსაც მთელი თავისი ქონება და ნაღდი ფული უანდერძებია თბილისის თვითმართველობისათვის. შეწირულების მთელი ჯამი შეადგენს 500,000 მანეთს. ქალაქმა ამ ფულით უნდა ააგოს საავადმყოფო თბილისის ყველა მცხოვრებთათვის, განურჩევლად ეროვნებისა, არა უგვიანეს 7 წლისა. ამ ვადაში თუ ქალაქმა ვერ შეასრულა ანდერძის პირობა, მთელი ქონება და ფული გადაეცემა სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას.

◆ **რეფისორ შალვა დადიანს** განზრახვა აქვს მაისის ბოლო რიცხვებში სახალხო სახლში რამდენჯერმე დასდგას სანდრო შანშიაშვილის დრამა სააკაძის ცხოვრებიდან „უგვირგვინო მეფენი“. დრამისთვის მზადდება ახალი ტანისამოსი და დეკორაციები. მოწვეულია ჩვენი მხატვრები. მთავარ ამსრულებლებად დასის საუკეთესო ძალები იქნებიან.

◆ **თავის მოკვლა თავდამცემლისა.** ამ რამდენიმე დღის წინად ი. სოსინს თავის ბინაზე უცნობი პირნი დაესხნენ და 200 მანეთი წაართვეს, ოცი თუმნის მოტანაც 25 აპრილისთვის დაუნიშნეს საღამოს 4 საათზე. ამ ვადაზე სოსინთან, აბასთუმნის ქუჩაზე, მივიდა ახალგაზდა ყმაწვილი კაცი ასე 20 წლისა. პატარა ულვაშ დაწებებული, საბუდრო მაუდის ფერ ხალათით. ქამრით ტანშემორტყმული და 1 ვაჟთა გიმნაზიის ბლიახით და გიმნაზიის ფორმის უგერბო ქუდით.— თქვენ მცნობთ? ჰკითხა ახალგაზდამ სოსინს.—დიახ, მე ეხლავ მოგიტანთ ფულს უპასუხა სოსინმა და იქვე დაბანაკებულ სათადარიგო ბათალიონის უფროსს ამცნო და პოლიციასაც შეატყობინა. პრაპორშჩიკმა ქვეითთა ჯარის კაცთა მიაშურა სოსინთან ერთად იმ ალაგისაკენ საცა თავდამცემი ელოდა. პრაპორჩიკის დანახვაზე ახალგაზდამ იძრო 12 ტყვიით გატენილი რევოლვერი და საფეთქელში მოირტყა. გონება დაკარგული თავდამცემი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაზე უკვე გარდაიცვალა. ჯიბეში გიმნაზიის გერბი უპოვეს და 20 მან. და 20 კ. ფულად. ვინაობა თავდამცემისა გამოურკვეველია.

◆ **მეთორნეების დეპუტაცია.** 29 აპრილს, საღამოს 6 საათზე, ქართველ მეპურეების დეპუტაცია წარუდგა თავად-აზნაურთა მარშალს თავ. კ. ნ. აფხაზს და მეთორნეების გაჭირვებული მდგომარეობა მოახსენა. დეპუტაციამ დაწვრილებით აუხსნა თავ. აფხაზს, როგორ ფასობს ამ ჟამად ფქვილი და რა ფასებში იყიდება გამომცხვარი პური და ამის გამო როგორ ზარალობენ მეთორნეები. დასასრულ დეპუტაციამ მოახსენა თავ. აფხაზს, რომ ამ პირობებში შეუძლებელია ჩვენი მუშაობა, მაგრამ მუშაობა თუ არ განვაახლეთ, ქალაქის გამგეობის შთაგონებით, მთავრობა სასტიკად დასჯას გვიქადისო.

თავ. აფხაზმა მაშინვე ტელეფონით გადასცა ბ-ნ თბილისის გუბერნატორს დეპუტაციის ხალაპარაკევი. გუბერნატორმა ტელეფონითვე უპასუხა თავ. აფხაზს, დაეყოლიებინა მეთორნეები, რომ რომ განეახლებინათ მუშაობა და შეჰპირდა, რომ ამ დღეებში საქმის მდგომარეობას მე თითონ დაწვრილებით გამოვიძიებ და რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩეო.

მეთორნეებმა თავ. აფხაზის სიტყვებით დაიმედოვდნენ და 30 აპრილს მუშაობა განაახლეს.

◆ რედაქციამ მიიღო ლექსთა კრებული „ლხტი“ გ. ძამუკოვისა. ფასი 15 კაპ.

თამაროგა დიდუბეში

1 მაისს დილიდანვე დიდუბის ეკლესიის გალავანში ხალხმა იწყო დენა. მოდიოდენ, ეკლესიას ჩვეულებრივად გარს უვლიდნენ და მომეტებული ნაწილი უკანვე ბრუნდებოდა. ათი საათისთვის ეპისკოპოზი ანტონი უნდა მობრძანებულიყო. ხალხი კარგა ბლომად შეიკრიბა. მეთერთმეტე საათზე ეპ. ანტონი ავტომობილით მობრძანდა. მას კრებული დაჰხვდა. წირვა და პარაკლისი სულ მთლად ქართულად იყო, გუნდიც ქართულად გალობდა მთავარი კ. ჩუტკერაშვილის ლოტბარობით. ბუყობრი და შეთანხმებული გალობა ჰმოწმობდა, რომ მას ჰხელმძღვანელობდა გამოცდილი და მცოდნე ლოტბარი. ყურადღებას იპყრობდა საკარაკლისო გალობა, რომელიც თვით კ. ჩუტკერაშვილის ნაწარმოებს წარმოადგენს. ეპისკოპოზ ანტონის შეუნიშნავს რა მისი ღირსება და დიდად ნასიამოვნებიც დარჩენილა. ეპისკოპოსმა ანტონიმ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, თამარის მნიშვნელობა ქართველი ერისათვის.

წირვის შემდეგ თამარის ხატით ეკლესიას ყველამ ერთხელ გარს შემოუარა.

დამსწრეთ სიამოვნება და დღეობის ნიშანი ეტყობოდათ. ეპისკოპოზის თანამწირველი ხუთი მღვდელ-დეკანოზი იყო.

ხალხი 1½ საათ. დაიშალა.

ეკლესიის გალავანში ახალგაზრდა ქალები წიგნაკს „თამარ მეფის დღესასწაული“ და გაზ. „საქართველოს“ ჰყიდდნენ.

აჭარის ამბები

ბათომიდან გვწერენ: 26 აპრილს საღამოს დარაჯების თანხლებით ხულოდან (ზემო აჭარა) აქ ჩამოიყვანეს ზემო აჭარის საერობო ინსტრუქტორი თავ. დიმ. ნაკაშიძე. როგორც ხულოდან ჩამოსულმა სანდო და გავლენიანმა პირმა გადმოსცა თქვენს ბათუმელ კორესპონდენტს, ზემო აჭარაში უნდათ შექმნან ახალი „საქმე“. მიზეზიც ყოველთვის იშოვნება: ხულოში მასწავლებლად არის სულით ავადმყოფი ვინმე კორჟოვი, რომელიც ყოველ წლივ ზაფხულობით მთავრობის ხარჯით სანატორიებში იგზავნება, აქაც ჯანის აღსადგენად გამოგზავნეს. სკოლა დაკეტვამდე მიიყვანა, მოწაფეები სულ შემოეფანტნენ. იანვრიდან გამოგზავნეს მეორე მასწავლებელი ბ. კვიტაიშვილი და ქ. გელაზაროვისა, დღეს სკოლა ისევ ფეხზე დადგა. ბავშვები მოხარული იყვნენ. სრული ჰარმონია სუფევდა. ადგილობრივი ბოქაული ბ. ივანოვი სამართლიანი და მიუდგომელი კულტუროსანი კაცი იყო. ხალხში წერა-კითხვის და მეურნეობის გავრცელება ფეხს იკიდებდა. ამ დროს მოხდა „საშიშარი“ ამბავი. კორჟოვმა სკოლის მსახურ აჭარელს სცემა. ნაცემს ძმა გამოესარჩლა, ძმას მასწავლებელმა დედა შეაგინა. აჭარელმა ვერ დასთმო, ხელით შეეხო. ივანოვმა აჭარელს 7 დღე დაპატიმრება გადაუწყვიტა. კორჟოვი არ დაკმაყოფილდა და მოხსენება აფრინა: ქართველები და აჭარლები შეერთდენ და რუსებს აჭარიდან გვაძევებენო. ამის გამო ფიცხლავ ასულა ხულოში ჟანდარმების უფროსი, ოლქის უფროსი და სკოლების ინსპექტორი პეტროვი.

ამის გამო გადაუყენებიათ ივანოვი, რომლისათვისაც მის უფროსს ხალხის თანადასწრებით ბრალი დაუდვია იმაში, რომ მას 8 თვის განმავლობაში ერთი აჭარელი არ დაუსჯია, ოქმი არ შეუდგენია. დაუჭერიათ აგრონომი დომ. ნაკაშიძე, რომელიც ოქტომბერს აქეთ მთელს ზემო აჭარაში დიდის გულმოდგინებით მეურნეობას ავრცელებს და თავის ხელით ბევრ აჭარელს ბაღი (ხეხილი) გაუშენა. გაგდებას უპირებენ სკოლის ზედამხედველს. როგორც გადმომცა აჭარელმა გავლენიანმა პირმა, საქმე რომ გამოეძიებიათ არავინ არ დაისჯებოდაო, იგივე პირი დასძენს, რომ აჭარაში მყოფი ქართველი ქრისტიანები დიდად არიან შეშინებული და არ იციან როდის რა შარს მოსდებენ.

„ვიღუპებით ჭოვ, ჭირისუფლებს არ გვიყენებენო“, დასძინა აჭარელმა. გამოკითხვით გავიგე, რომ ოლქის უფროსს (იონინს) აჭარლებისთვის უთქვამს: ქართველები კი გეხმარებიან, თქვენშიაც არიან, მაგრამ არ იფიქროთ რუსეთი აღარ იყოს (ნეტავი ვინ ფიქრობს!) და ქართველების მეფობა აღდგენილიყოსო.

საჭიროა ფიცხელი და მიუდგომელი გამოძიება... ვეცდები დაწვრილებით მოგაწოდოთ ამ „საშიშარი“ ბრალდების და ახალი პროვაკაციის ამბავი.

იმერელი.

„კავკასკოე სლოვო“

რაც საერობო თათბირი დაიწყო, „კავკასკოე სლოვოს“ ამკარა ნერვიულობა დაეტყო, ეს უტყუარი მტერი გონივრული და დარბაისლური მსჯელობისა და აზროვნებისა. ჯერ იყო და 28 აპრილის შეთაურში საკმაო შხამით შეზავებულ ირონიით მოიხსენია 24 სომხის წინაალმდეგ 119 რუს-ქართველთათრებისგან შექმნილი უმრავლესობა, მას დასცინოდა აქაო და თავისი თავი კანონმდებლად დასახაო და თავის ჭკუით აბათილებდა კიდეც ამ ას ცხრამეტ ხმას. ამ უმრავლესობას იმდენივე მნიშვნელობა აქვს რამდენიც უმცირესობას, ხოლო არსებითად არც ერთს და არც მეორეს არავითარი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს, იმიტომ რომ თათბირის არც ერთი წევრი ხალხის წარმომადგენლად არ ჩაითვლებაო.

რასაკვირველია, „კავკასკოე სლოვოს“ ბანაკის „მეომრები“: დოლუხანოვები, ბერბერიანები და tuti quanti თათბირის უმრავლესობას რომ მოჰყოლოდნენ მაშინ, რა თქმა უნდა, ამ უმრავლესობის ხმა მაღალ ღირსებიანიც იქნებოდა და სახელმძღვანელოდ მისაღებიც! ამგვარი ზნე ტრადიციული ფათერაკია სომხური გაზეთებისა. და აბა მიბძანეთ, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ასეთ ორგანოების აზრსა და მტკიცებას, რომელნიც მოვლენათა სისწორე-სიმრუდეს და ნამდვილობას მხოლოდ იმდენად შეიცნობენ, რამდენადაც მათი პირადი მონაწილეობა შიგ ურევია!

29 აპრილის მეთაურში, სომეხთა გაზეთი „კავკასკოე სლოვო“ სხვა მხრივ ცდილობს იმ უმრავლესობის განქიქებას და მის სახელის გატეხვას. გაზეთი რაღაც შეთქმულობასაც კი სწამებს ხსენებულ უმრავლესობას სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ, გაზეთი აღშფოთებით სწერს: „ისინი მხოლოდ მაშინ არ არიან მართალნი, როდესაც სხვებს ხელს უშლიან საკუთარი აზრის გამოთქმაშიო“. იმავე მეთაურში მეორე ადგილას გაზეთი ამავე აზრს იმეორებს, როცა სწერს: „მთავრობისა და საერობო დაწესებულებათა ხმაშეწყობილ შემოქმედებით მუშაობას ის კი ვერ შეუწყობს ხელს, რომ 87 მუხლს მიმართეს, ან-და გვიკრძალავენ საკუთარ საჭიროებებზე ლაპარაკსო“.

ეს კი აშკარა სიყალბეა, განზრახ ჩადენილი უკანონობა სინამდვილის წინაშე! თათბირის ანგარიშს დაწვრილებით ვეცნობით. არსად ისეთი ადგილი არ არის, რომელიც ამტკიცებდეს მთელი თათბირის აღტყინებას, ან მღელვარებას, ან ნერვიულობას; არსაიდან არა სჩანს, რომ ან თავად ორლოვს, თათბირის თავჯდომარეს, ან რომელიმე წევრს შეუკავებელის რეპლიკით სიტყვა ვისთვისმე გაეწყვეტინებინოს. თათბირი ღირსეულად და ყოვლად რიგიანად მიმდინარეობს, ამ რეფორმის უაღრეს საჭიროებაში სწორედ ისე როგორც შეშვენის სერიოზულად ჩაბედულ და თვის პასუხის მგებლობაში ღრმად დარწმუნებულ კრებულს. სავსებული თათბირის თავმჯდომარე თავად არლოვს საკითხისთვის კენჭი მაშინ უყრია, როდესაც იგი არსებითად გამორკვეულად იყო მიჩნეული. და თუ ათიოდე კაცის სურვილი საერთო მოწონების საგნად არ გახდა და ათიოდე ღა კაცის სურვილად დარჩა, ეს განა იმას ნიშნავს, რომ ლაპარაკის უფლებას გვართმევენ, პირში ბურთსა გჩრიანო?! ეგ სადაური ლოღიკაა?! ან იქნებ „კავკასკოე სლოვო“ და მისი ამალა იმას მოითხოვს რომ თათბირის ას ოცი მონაწილე, რომელიც არა-სომეხი გამოდგა, და ერთი აზრის გარშემო შემოკრება, 24 სომხის სურვილსა და აზრს დამორჩილებოდა?! მათი კადნიერება რომ ვიცით, არც ამას ითაკილებდენ. მაგრამ რა ვქნათ, თუ იცის ოლიგარხიას ასოცი არ დასთანხმდა.

მაშ, ერთი ვიკითხოთ, რად დასჭირდა „კავ. სლოვ.“ სიყალბის შეთხზვა და სინამდვილის ასე წარმ-შეუხრელად გადაყირავება?! იმიტომ ხომ არა, რომ „იმ წევრებს, რომელნიც ზოგიერთ სიძნელის ზედგავლენით სულით ეცემიან და ნაადრევად შინ დაბრუნებაზე გული უთქვამთ“ ცოტა ღონე და მხნეობა შემატოს?!

რომ მდგომარეობა კრიტიკულია, იქიდანაც სჩანს რომ „კავკ. სლ.“ არ ერიდება, შინაური შიშიანობა გარედ გაატანოს და თავისიანების გასაგონად საქვეყნოდ აცხადებს: მათ (ე. ი. ის წევრები, ვინც სულით ეცემიან და შინისკენ მიესწრაფვიან) უნდა გული გაიმაგრონ (должны взять себя въ руки) და ბოლომდე მუშაობა განაგრძონო, რომ...“ და სხვა. ლაშქარს გამხნევება სჭირია, მაგრამ რაღა სხვისი ხარჯით სურთ გამოიწეროს ამ დალოცვილ ორგანოს თვისთა ლაშქართა ეგ ზომ საჭირო გამამხნევებელი ფხვიერი? დღეს სათითაოდ ყველა საკმარისად ნახარჯი არის. და ქველმოქმედების გაღებას ვერავინ შესძლებს. და მარტო ამისთვის ნუღარ იქნება ჩვენსა თავსა ზედა მრისხანება მისი!

საერობო თათბირი

29 აპრილი.

პირველი სექცია თათბირს განაგრძობს საერობო ერთეულის ტიპის შესახებ.

ხან ხოისკი. ვრცელ სიტყვაში არჩევს ერთი ჯგუფის წინადადებას ერობისთვის ახალი ტერიტორიული ერთეულების შექმნის საკითხის შესახებ. ორატორის აზრით უსაფუძვლოა ყოველივე ის, რაც კრებებზედ ითქვა ზოგიერთი გუბერნიების შესახებ (სახეში აქვთ განჯის გუბერნია), ვითომც ამ გუბერნიის ორ რაიონად დაყოფა—მთიან და ვაკე რაიონებად, რაიმე ერთგვარ აგრონომიულ ზონებს ჰქმნიდეს. ამ მოსაზრებას იმაზედ ამყარებენ, რომ ძველად სპარსული დანაწილება „მაღალებად“ ასეთი იყოო. ეს ასე არ არის. მაღალებში სწორედ შედიოდა მთელი ხეობები—ვაკე და მთა. განა შეიძლება ასეთი დანაწილება იქ, სადაც ხალხს ზაფხულში დაბლა ცხოვრება არ შეუძლიან და უთუოდ მთაში უნდა წავიდეს რომ სიცოცხლე შეინარჩუნოს? გარდა ამისა, ეკონომიური დამოკიდებულება, გეოგრაფიული და სხვა პირობები ასეთს დანაწილებას განა არ ეწინააღმდეგება, ორატორის აზრით ასეთია დანაწილება გამოწვეულია ეროვნების განცალკევების სურვილით და ეს ჩვენთვისაც დიდი სასურველი იქმნებოდა, მაგრამ რა უყოთ რომ განგებამ ისეთს პირობებში ჩაგვაყენა, რომ ასეთი გზით გამიჯვნა არ მოხერხდებაო.

ალ. ახათიანი. განცვიფრებას აცხადებს, რომ ისეთმა საერობო საკითხის მცოდნე პირმაც, როგორიცაა თავ. გ. მ. თუმანოვი, საერობო ერთეულის საფუძვლად, ნაცვლად ეხლანდელი ადმინისტრატიული ერთეულებისა—მაზრებისა—წამოაყენა აგრონომიული რაიონები. ბ. ვერმიშევი კიდევაც გვეკითხება რა—დამოკიდებულებაა ადმინისტრატიულ ერთეულებსა და ერობის შორისაო. ეს დამოკიდებულება, ორატორის აზრით, ისეთია, რომ ყველა ქვეყნებში ადგილობრივი თვითმართველობა და ადგილობრივი ადმინისტრატიული ორგანიზაცია ერთს პოლიტიკურ ერთეულს შეადგენს, ან ერთს მთლიანს ორგანიზაციას, ან და, როგორც ეს რუსეთსა და გერმანეთშია, პარალელად მოქმედებენ. ადმინისტრაციასა და ერობას შორის დამოკიდებულება იმ გარემოებით როდი შეიცვლება რომ ის ფუნქციები, რომელიც დღეს მთავრობის დაწესებულებას ადმინასტრაციის შემწეობით აღსრულებაში მოჰყავს, მომავალში ერობის ხელში გადავა და ცხოვრებაში მათ გატარებას შეუდგებიან, ნაცვლად მთავრობის პირებისა, არჩეული საერობო ერთეულებიო. როგორც არჩევნები, საერობო გადასახადის შეკრება, ისე ერობის ყოველივე დადგენილების აღსრულებაში მოყვანა ადმინისტრაციის ხელში იქმნება. ყველასათვის ცხადია, რომ რუსეთის თვითმართველობებს არც საერობოს და არც საქალაქოს აღმასრულებელი უფლებები არ აქვს მინიჭებული; ორატორს უკვირს თუ როგორ მოაწყობენ საერობო ერთეულსა და ადმინისტრაციის შორის დამოკიდებულებას, საგრონომიო რაიონების ავტორები. როდესაც საგრონომიო რაიონის საზღვრები მაზრის ფარგლებს გასცილდება და მაშასადამე საერობო ერთეული ორს სამაზრო ადმინისტრაციას დამყარება. ერთს სახელმწიფოში ასეთი გადახლართვა სახელმწიფოებრივი მოვლენებისა ჯერ არსად არ გამგონია. ორატორს არ სჯერა, რომ ასეთს რამეს ფიქრობდნენ გ. თუმანოვი და ვერმიშევი და დარწმუნებულია, რომ ამ საგრონომიო ერთეულებს იქით კიდევ რაღაც იმალება. ამ რაიონებს გარდა ეხლა საპოლიციო უბნებზედაც დაიწყეს ლაპარაკი, თუ ეს საგრონომიო რაიონები, ან უბნები მიღებულ იქმნება, როგორც საერობო ერთეულის საფუძველი, ცხადია, რომ ისინი უნდა ადმინისტრატიულად მოეწყვნენ, ი. ი. მოხდეს ადმინისტრატიული გადამიჯვნაც. აქ მოყვანილი საბუთები არწმუნებს ორატორს, რომ ამ წინადადების დამცველნიც იმას ჰფიქრობენ, რასაც ბ. ევანგულოვი, რომელმაც ამ რამოდენიმე წლის წინად მოითხოვა ჩვენი ქვეყნის ადმინისტრატიულად გადამიჯვნა. ევანგულოვის საბუთებიც ისეთია, როგორც ამ ჟამად აქ წამოყენებული. ამ პროექტით ერევანის გუბერნიას, რომელიც ჯერ ამ ნახევარი საუკუნის წინეთაც თბილისის გუბერნიაში შედიოდა, თბილისის გუბერნიის სამი მაზრა და ერთი კიდევ განჯის გუბერნიის მაზრა უნდა მომატებოდა, რომ ამ გზით ამიერ კავკასიის ნახევარი ნაწილი ერთს ფარგლებში შემოეკრიბა. ამ რიგად აქ მორცხვად გამოთქმული წინადადებები, თუ არა ევანგულოვის შემწეობით, გაუგებარი დარჩებოდა. გუბერნია, მაზრა—შემთხვევითი და არა ბუნებრივი დანაწილებაა. აგრონომიული რაიონი, უფრო კი უბანი მეტად მოხდენილი და ერთ ფეროვანი. საჭიროა, რომ სწორეთ ამ უბნებზედ აშენდეს ერობა, მაგრამ ამისთვის საჭიროა, მათი ორგანიზაცია, ე. ი. ადმინისტრატაულ ერთეულებად გადაკეთება. ასე უნდა გავიგოთ აქ წამოყენებული წინადადებები. არსებითად თუ რამდენი საფუძვლიანი და „ბუნებრივია“ ეს ახალი ერთეულები ეს უკვე გავიგეთ, მაგრამ თუ მათ დაუკავშირეთ ერობის საკითხი, ბ. ევანგულოვმა და ამ წინადადების ავტორებმაც კარგად იციან, რომ ჩვენ ერობას დიდხანს ვერ მივიღებთ, ვინაიდან ასეთი რთული ადმინისტრაციული ფორმები გონიერი და შესაწყნარებელიც რომ იყოს ის ერთი და ორი წლის საქმე არ არისო. ხასმედოვი, ჰაიდაროვი, აფაზოვი მომქმედ კანონმდებლობასა და ტრადიციებს ემორჩილებიან. უკანასკნელ. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელმა. **თავ. გ. მ. თუმანიშვილი** განმარტავს, რომ უწინ სამაზრო და საგუბერნიო ერობას ვემხრობოდი, ვინაიდან სააგრონომიო რაიონები არ იყოვო.

ივ. ივ. ზურაბიშვილი, ავტორი მოხსენებისა შესახებ საერობო ერთეულების ტიპისა, ვრცელ სიტყვაში ეხება ყველა იმას, რაც ითქვა სამაზრო და საგუბერნიო ერობის შესახებ. ის აღნიშნავს აგრნომიული ერთეულების უვარგისობას, როგორც ერობის საფუძველს. ერობის ფუნქციას მარტო აგრონომია კი არ შეადგენს, არამედ მრავალი სხვა: სწავლა-განათლება, გზის საკითხი, მედიცინა და სხვ. რად წამოაყენეს აგრონომიული რაიონები და არა სასკოლო, ან სანიტარული რაიონები. ორატორი აღნიშნავს უხერხულობას, როდესაც ერთი საერობო ერთეული დანაწილებული იქნება ორ მაზრის შორის.

ქ. **ვერმიშევი** აცხადებს, მე ევანგულოვის პროექტის დაცვა სრულებით არ მიკისრიაო.

ორატორთა სია დასრულდა.

კენჭს უყრიან საკითხს.

56 ხმით წინააღმდეგ 24-სა მიღებულ იქმნა სურვილი, რომ დაბალი საერობო ერთეული შემოღებულ იქმნას ჩვენშიაც, როდესაც ის რუსეთში განხორციელდება. რაც შეეხება ერობის ტიპს კრება 64 ხმით წინააღმდეგ 16-სა იღებს მომხსენებელის ი. ზურაბიშვილის ფორმულას, რომ კავკასიისთვის კრება ღებულობს ორს საერობო ერთეულს სამაზროს და საგუბერნიოს, თანახმად რუსეთში მომქმედ კანონისა.

შემდეგ ვერმიშევის წინადადებით კენჭი უყარეს აგრონომიულ ერთეულთა ერობას შესახებ საკითხს და ამ წინადადების მომხრე აღმოჩნდა 24 კაცი წინააღმდეგ 56-სა.

მეორე სექციის კრება.

საღამოს 8 საათზე გაიხსნა, თავ. დ. ო. ნიჟარაძის თავმჯდომარეობით, მეორე სექციის კრება.

კამათი გაიმართა ისევ ცენზის შესახებ. ილაპარაკეს: **ბ-ნთ დემიდოვმა, თავდგირიძემ, მაჩაბელმა და გოგიჩაიშვილმა.** ეს ორატორები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ ერობაში მონაწილეობის მიღება მხოლოდ ადგილ-მამულის პატრონთ ჰქონდეთო, მაგრამ ამასთანავე მათის აზრით, რამდენადაც შეიძლება, მამულის რაოდენობის მინიმუმი იყვეს აღიარებული ცენზათ.

ბ-ნნი ტერ-პეტროსიანი და ვერმიშევი არ ეთანხმებიან წინანდელ ორატორებს და თხოულობენ, რომ ცენზათ საერთოდ გადასახადი იყვეს აღიარებული.

ბ-ნი სობრიევსკი თხოულობს, რომ ცენზად განსაკუთრებით საადგილ-მამულო გადასახადი იქმნას მიღებული.

ა. ი. ხატისოვი აცხადებს, რომ კრების უმრავლესობამ დაჰკარგა თავისი დროშები და რეტროგრადი გახდაო. ორატორის აზრით რუსეთის მოწინავე საზოგადოების პროგრესიულ ნაწილი ხელს არ დაასვამს ამ უმრავლესობის გადაწყვეტილებას.

ბ-ნ ხატისოვს პასუხი გასცა **კიტა აბაშიძემ.** ორატორი ერცლად შეეხორა საერობო საკითხს, განაცხადა, რომ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ თბილისში ჩამობრძანებისთანავე შეიგნო ჩვენი ქვეყნის საჭიროება და გარდასწყვეტა საერობო-რეფორმების გაძხორციელება ამიერ კავკასიაში. ამ რეფორძათა საჭიროების შესახებ. ლაპარაკი დღეს ზედმეტია; აგრეთვე ზედმეტია იმაზედაც ლაპარაკი, რომ ეს რეფორმები დაუყოვნებლივ უნდა გახხორციელდეს ჩვენში, რათა ომის დროს ჩვენს მხედრობას ზურგი გაუმაგროთ, ხოლო ომის გათავებისას ახალ ცხოვრების ტალღებს მოუხადებული დავხვდეთო. ორატორის სიტყვით, კრების უმრავლესობას კარგად აქვს გათვალისწინებული 1890 წლის დებულების ეოობათა ნაკლულევანება და რა არის უმჯობესი კარგად ესმის, მაგრამ ლაპარაკი არჩევნებზე როდია, არამედ იმაზე, თუ მისი მიღება შეგვიძლიან დღევანდელს პირობებში.

კრება მეორე დღისათვის გადაიდგა.

სუხომლინოვი

სუხომლინოვი ციხეში დაუძლურდა, თითქოს დაბერდა. მან მოითხოვა თავისი კარის ექიმი, მაგრამ კომენდანტმა ნება არ მისცა და გაუგზავნა ციხის ექიმი, რომელმაც სუხომლინოვის ჯანმრთელობა სასურველად მიიჩნია. სუხომლინოვი შეკითხვის დროს, ხშირად იხსენიებენ იმ წერილს, რომელზედაც ერთ დროს იყო ლაპარაკი სათათბიროში. გაჩხრეკის დროს ხემოხსენებული წერილი არ აღმოაჩნდა. „უტრო როსსია“ ამ დღეებში ჰბეჭდავს ისტორიულ საბუთს, რომელიც ნათლად არკვევს გუჩკოვის როლს, კიევში სტოლიპინის დაკრძალვის დროს. გუჩკოვი ჰგრძნობდა, რომ სამხედრო სამინისტროს საქმეები ვერ იყო კარგად. გენერალმა ივანოვმა მას განუცხადა, კიევის ღრეში, ხშირად ჩაგვივარდება ხოლმე ავსტრიელ აგენტების

კორესპონდენციები პეტროგრადიდან, ვენაში გაგზავნილიო.

გამოაშკარავდა რომ აგენტებმა კარგად იცოდნენ, რაც ხდებოდა სუხომლინოვის გაოშემო, იცოდნენ მისი საუბარი ხელმწიფესთან სამხედრო საქმეების შესახებ.

გუჩკოვმა ყოველივე გაუზიარა კოკოვცევს, რომელიც არ თანაუგრძნობდა სუხომლინოვს.

სუხომლინოვი კი, მაგრად იდგა; იგი უყვარდა და მის გადაყენებაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა. როდესაც გუჩკოვი არკვევდა მიასოედოვის, ალტშულერის და თავადის ა.-ს საქმეებს, სხვათა შორის სახელმწიფო დაცვის შესახებ სუხომლინოვსაც შეეკითხა, რომელიც გაბედულად უპასუხებდა, მაგრამ ჰღელავდა კი.

დაგა-სოფლები

ხევი და მისი ავ-კარგი.

მარტის შუა რიცხვებში სოფელ სტეფანწმინდაში განიზრახეს კოოპერატიული დუქნის გახსნა, ამისთვის ბ-ნ თბილისის გუბერნატორთან წარადგინეს დასამტკიცებლად წესდება და არ ვიცით, როდის ელირსება განხორციელება საქმისა!.. სასურველია, რომ ხევში თვეში ერთხელ მაინც იმართებოდეს ბაზრობა, რადგანაც ქალაქებს—თბილისს ას სამოცი ვერსის მანძილით არის ხევი დაშორებულნ და კავკავს 40 ვერსით. ბაზარი და კოოპერატიული დუქნები დიდს წარმატებას მისცემდა ჩვენს ქვეყანას, სადაც გაიყიდებოდა ადგილობრივი სოფლის ყოველ-გვარი ნაწარმოები: ყველი, ერბო კარაქი, მატყლი, საჩოხე შალები, საკლავი, კარტოფილი, თივა, ქათამი, კვერცხი და სხვა. ამავე დროს საბაზროდ შემოიტანდნენ იმ საჭირო საოჯახო მასალას, რომელიც ჩვენს ხალხს არ გააჩნია; მაგალითად: სიმინდი, შეშა, მარილი, ხორბალი, ფქვილი, კომბოსტო ნავთი და ყოველ ნაირი ხილი. ეხლა კი ჩვენი ცხოვრება, მთლად ჩარჩების ხელში არის, და ჩვენს ბედ-უბედობას ისინი განაგებენ.

დღეს ერთი ნაცნობი სომეხი მეუბნება, თქვენკენ მატყლის სავაჭროდ წამოსვლა მინდა, მაგრამ მოხევები კარგი ხალხი არა ხართო, შარშანაც ვიყავი მაგრამ ვერ ვივაჭრეო. თუ იცი როგორ უნდა გაიყიდოს თქვენსკენ მატყლიო?—არ ვიცი რა მაზანდას გაჰკვეთამენ მეცხვარეები მეთქი.

— მაზანდის გამკვეთავები აქ ჩვენა ვართ, ჩვენა! ყველა აქედან იწყობა. აი, ეხლა 7—8 მანეთში ავიღეთ შარაქის მატყლიო, მაგრამ თქვენ მოხევებს რას მოგირიგდებათ კაციო.

შარშან ეს ვაუბატონი ხევში ბრძანდებოდა მატყლს ძალიან იაფათ ნდომულობდა, ამ დროს გაჩნდა ერთი მდიდარი თავრიჩანი გვარად საბინი და მატყლის ფასი 15—16 მანეთამდე ასწია. ეხლა წერილით ვიცი, რომ ყიზლიარში რამდენისამე მეცხვარეს ბერწი ცხვარი გაუპარსნია და ფუთი მატყლი თავრიჩანებისთვის 20—22 მანეთად მიუყიდნია. ეს ჩარჩი-კი ვერა გზით ვერ დავაჯერე, რომ ეს ასე არის! თვით თავრიჩანები თავიანთ მატყლს განა ჩვენებურად ჩარჩებს აძლევენ ნახევარ ფასად?—ამათ აქვთ თავიანთი ბანკი, ამათა ჰყავს ყველა ფაბრიკა ზაოდებში თავისი წარმომადგენელები, აქვთს წესდება შემუშავებული სადაც უმაღლესი მთავრების პირებიც ამ წესდების ძალით წევრებათ არიან ჩაწერილები. ყუბანის და თერგის ოლქის მეცხვარე თავრიჩანებს პეტროგრადიდან ამ ერთის თვის წინეთ წინადადება მოუვიდათ, რაც წელს მატყლი გაიპარსებოდა მთლათ სახელმწიფო ქარხნებისათვის უნდა მიეყიდნათ დაწესებულის ფასით, რადგანაც მაუდი ძალიან სჭირდება მებრძოლს ჯარსაო. ამაზედ მთელი თავრიჩანები ორივე ოლქის მეცხვარეთა ყრილობა მოხდა, რასაც დასწრებია 250 მეცხვარე. კრებას დაუდგენია და ამოურჩევია ორივე ოლქიდან ოთხი მეცხვარე, რომელთაც დავალებია პეტროგრადში მის უმაღლესობას იმპერატორის წინაშე შუამდგომელობა აღეძრათ, რათა არ ჩამოერთოს ჯარში გასაწვევი როგორც მათი შვილები აგრეთვე მათ ფარების მომლელი ჩობნები. უკეთუ ეს შეღავათი არ მოგვეცემა, ჩვენ ყველა თავრიჩანები იძულებულნი ვიქნებით ცხვარი გავყიდოთ და ხელი ავიღოთ ამ სარგებლიანს საქმეზედაო. არ ვიცი პეტროგრადში რა მოელის მათ შუამდგომლობას, მხოლოდ ის კი ვიცი, რომ ეხლა თავრიჩების მატყლი ერთის პირით ფუთი სამ თუმნად გაყიდულა.

მშვიდობიან დროს თავრიჩანის მატყლი იყიდებოდა 8—12 მანეთამდე ფუთი.

ჩვენ კი ჩარჩები ისევ ძველი დროს ფასებს გვაჩეჩებენ ხელში, თან იმას გვიბრძანებენ, მოხევები ცუდი ხალხი ხართ, კაცი ვერ მოგირიგდებათო. მართლა ცუდები ვარც არა მარტო მოხევები—მთლად ქართველი ერი, როდესაც მძარცავ-მყვლეფავ ჩარჩებს და მატყუარებს უვარდებით ხელში.

კალმისწვერა.

ხილის ფასები ადგილობრივ ბაზარზე

მიმდინარე აპრილის თვეში „ქართლის ამხანაგობის ცნობებით თბილისის ბაზარზე ხილის მაზანდა (ფასი) იყო დაახლოებით შემდეგი:

19	აპრილს—	ბალი	1 ფ.	8 მ.
„	„	ხენდრო	„	16 მ.
„	„	ალუჩა	„	5 მ.
20	„	ხენდრო	„	11 მ.
„	„	ალუჩა	„	5 მ.
„	„	ბალი	„	7—50 კ.
„	„	მუხუდო	„	2—50 კ.
21	„	ხენდრო	„	7 მ.
„	„	ბალი	„	7—50 კ.
22	„	ალუჩა	„	5 მ.
23	„	ხენდრო	„	11—50 კ.
„	„	ბალი	„	9 მ.
„	„	ალუჩა	„	6 მ.
24	„	ხენდრო	„	11 მ.
„	„	ალუჩა	„	5 მ.
25	„	ხენდრო	„	12 მ.
26	„	ხენდრო	„	7 მ.
27	„	ხენდრო	„	5 მ.
28	„	ხენდრო	„	7 მ.
„	„	ალუჩა	„	4 მ.
„	„	ბალი	„	6 მ.

ამავე რიცხვებში (19—27 აპრილამდე) კომბოსტოს ფასი იყო (საშუალო რიცხვით) 2 მ. 50 კ.

კალათებში ჩალაგებული ხენდრო იყიდებოდა ორი მანეთიო მეტი ფუთი, რადგანაც ამ რიგათ მოტანილი საქონელი არ ფუჭდება გზაში.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის „საქართველო“-ს საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ მიხაკო და ილიკო ყარამანის ძე ცეცხლაძეებს, რომლებმაც შემოქმედის სამკითხველოს გამოუწერეს: 1. ჟურნალი „ნივა“ და გაზეთი „რუსსკოე სლოვო“ და აგრეთვე ჯარის კაცს სერგო თედორეს ძე ჭანუყაძეს, რომელმაც ამავე სამკითხველოს შემოსწირა 17 მანეთის სანთლები.

შემოქმედის სამკითხველოს გამგეობა.

1. **მღ. თომა საბაშვილი**, 2. **კოლია ჩხატარაიშვილი**, 3. **ვლადიმერ გორგაძე.**

შეცდომის გასწორება.

ნინო ყიფიანის წერილში „ლეგენდა თამარზე“ სწერია: ძლიერად აბორგებული მკერდი. უნდა იყოს: ძლიერად აბგერებული.

სწერია: ღერა ნაბათთა. უნდა იყოს: ღერა ბარბითთა.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

აბასთუმანი
სასტუმრო „მინერალნია ვოდი“

გვაქვს კარგათ მოწყობილი 50 ოთახი და ვაძლევთ სეზონით და დღიურათაც.

სასტუმროს აქვს საუკეთესოდ მოწყობილი რესტორანი. მსურველთ შეუძლიათ დაიქირაონ წერილობით და დეპეშითაც. ქირა ზომიერია. შედარებით სხვა ადგილებზე, აბასთუმანში იაფია ყველაფერი.

სასტუმროს პატრონნი ჩიქვაიძე და გეგიაძე.

(8-163-3)

გამართულია ხელის მოწერა

კიკნა-ფშაველის

პოემების და ლექსების კრებულზე, რომელსაც დაერთვის ბიოგრაფია-წინასიტყვაობა და დ. ჯახრაძის კრიტიკული წერილით.

წიგნი ელირება ათ შაურად.

საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

გიორგი ილიას ძის ჩუბინაშვილისა

მისამართი: ავლაბარი, პეტრე პავლეს-ქუჩა კახეთის მოედანი.

(თ—81—9)

შეშის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

ქ. გაქოში

ღვინით ვაჭრობა „მელაანი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ყოველკვირეული უურნალი

„სკოლა და ოჯახი“

სამი აპრილიდან გამოვა ქუთაისში შემდეგის პროგრამით: პედაგოგიკა, ოჯახური აღზრდა, ჰიგიენა, განათლება სკოლის გარეშე, ჩვენი სკოლა, უცხოეთის სკოლა, სახალხო მასწავლებელთა შორის, პროზა და პოეზია, ჩვენი მხარე, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, კითხვა-პასუხი, მოღვაწეთა სურათები და განცხადებანი. ჟურნალში თანამშრომლობა აღგვითქვეს ჩვენმა ცნობილმა პედაგოგებმა და ლიტერატორებმა. ჟურნალი ეღირება ამა წლის დამლევამდი ოთხი მანეთი, ცალკე ნომერი ორი შაური. ფული და წერილები გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: ქუთაისი, ხაზინის წინ, ქალაქის მესამე სკოლა (ჟურნალისათვის). აქვე შეიძლება რედაქტორის ნახვა ყოველ დღე გარდა კვირა-უქმეებისა პირველ საათამდი. უმარკო წერილებს ვერ მივიღებთ.

რედაქტორ-გამომცემელი **ვლ. ნაცვლიშვილი.**

დ. ზესტაფონში

ექიმი დ. კ. მაჭავარიანი

5 მაისიდან მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

დოქტორი მედიცინისა

მოსე ახთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ჭირურგიულ ნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ტელეფონი, 17—21.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის ნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

მ. დრუჟინინი-ბიელოშვილი

ჟ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან ნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

საგალანტერიო მაღაზია

ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი: ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება უკვეთ დღე დილის 11—2 საათამდე.

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

(თ.—126—24)

გამოსადეგი ცნობა

კავკასიის სამკურნალო ადგილების ცნობის მიმცემი ბიურო

(ბარიათინსკის ქუჩა № 6.)

უფასოდ იძლევა ყოველგვარ ცნობებს კავკასიის სამკურნალო ადგილების ყოველგვარ საკითხზე. ბიურო ღიაა საღამოს 5—7 საათამდე ყოველ დღე, უქმე დღის გარდა. ტელ. 14—96. წერილობითი პასუხის მისაღებად 10 კ. მარკა უნდა გამოიგზავნოს. (უ)

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ს წიგ. მაღაზია

„განათლება“-ში

იწყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება ავრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартқиладзе.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Тавартқиладзе.

წიგნის მაღაზია

„ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

თევზის მრეწველნი
ძმ. მეგველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განუყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოჭნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკერის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს ავრედვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ქუდები ქაღალზია

მ. ბაშარულისა

სასახლის ქუჩაზე

იშოვება ყოველგვარი საუკეთესო რჩეული საქონელი

მხოლოდ ევროპიული

(—83—)

ნება დართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.